




IPOA

ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია –
ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

გამჭვირვალობის წლიური ანგარიში

2025

სარჩევი:

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შესავალი და საერთო მიმოხილვა	10
1 ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც მოიცავს ბალანსს ან აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებას, ფინანსური წლის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების წლიურ ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას	11
2 ინფორმაცია აქტიური ლიცენზიების შესახებ (მათ შორის, ახალი ლიცენზიების თაობაზე, რომელთა გაცემაც მოხდა საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში, დაყოფილი უფლების ან უფლებების კატეგორიების მიხედვით) და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ	11
2.1 საჯარო გადაცემის უფლება	12
2.2 საჯარო შესრულების უფლება	12
2.3 ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის (კერძო კოპირება)	13
2.4 უფლებათა კატეგორიების სტრუქტურა	13
3 ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობითი სტრუქტურის აღწერა	14
3.1 ასოციაციის მართვის ორგანოები:	14
3.1.1 ასოციაციის წევრთა საერთო კრება	14
3.1.2 ასოციაციის გამგეობა	14
3.1.3 ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო	15
3.2 სამეთვალყურეო საბჭო	16
3.3 ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები	16
3.3.1 გენერალური დირექტორი	17
3.3.2 ასოციაციის თავმჯდომარე	17
3.3.3 საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი	17
4 ინფორმაცია ნებისმიერი იურიდიული პირის შესახებ, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად ფლობს ან აკონტროლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია	17
5 ინფორმაცია ორგანიზაციის თავმჯდომარის, გამგეობის, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ	18
6 ფინანსური ინფორმაცია შეგროვებული ჰონორარების შესახებ	18
6.1 შეგროვებული ჰონორარები უფლებათა კატეგორიების მიხედვით	19
6.2 შეგროვებული ჰონორარები გამოყენების ტიპისა და მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით	19

7	ფინანსური ინფორმაცია უფლებების მართვის საფასურისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელებისთვის მიწოდებული სხვა მომსახურების შესახებ.....	21
7.1	სამართავად გაწეული ყველა ფინანსური ხარჯი	23
7.2	ფინანსური, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებზე გაწეული ხარჯები	23
8	ინფორმაცია შეგროვებული ჰონორარების შესახებ	24
8.1	უფლების მფლობელებისთვის შეგროვებული ჯამური თანხა, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით.....	24
8.2	უფლების მფლობელებისთვის გადახდილი ჯამური ჰონორარები, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით.....	24
8.3	გადახდების შესრულების სიხშირე, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით.....	26
8.4	ინფორმაცია მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა უფლების მფლობელებზე, უფლების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა	27
8.5	ინფორმაცია მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა იდენტიფიცირებულ უფლების მფლობელებზე უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა.....	27
8.6	ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განაწილებისა და გადახდების განუხორციელებლობის შემთხვევაში – მისი დაგვიანების მიზეზები.....	28
8.7	ინფორმაცია ჯამური გაუნაწილებელი თანხების შესახებ და ამ თანხების გამოყენების შემთხვევაში ახსნა-განმარტება, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული ეს თანხები	28
8.8	ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ თანხების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში – სპეციალურ ანგარიშებზე არსებულ თანხებზე დარიცხული სარგებლის და ამ სარგებლის განაწილების შესახებ ინფორმაცია	28
9	ინფორმაცია სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ	28
9.1	სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან მიღებული და მათთვის გადახდილი თანხები, უფლების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით.....	28
9.2	სხვა ანალოგიური ორგანიზაციებისთვის შეგროვებული ჰონორარებიდან უფლების მართვის საფასური	29
9.3	ინფორმაცია სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და გადმორიცხული ჰონორარებიდან უფლებების მართვის საფასურის შესახებ.....	30
10	ინფორმაცია სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების გამოყენების შესახებ.....	30

**დამოუკიდებელი მარწმუნებელი
ანგარიში**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ
საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია –
ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა
ასოციაციის ხელმძღვანელებს**

განსახილველი საგანის აღწერა

წინამდებარე მარწმუნებელი ანგარიშის განსახილველი საგანია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის (ს/კ 404574475 - შემდგომ - პასუხისმგებელი მხარე) 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული გამჭვირვალობის წლიური ანგარიში.

პასუხისმგებელი მხარე, მის მიერ წარმოდგენილ გამჭვირვალობის წლიური ანგარიშში აცხადებს, რომ გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის მომზადებისას დაიცვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ (შემდგომ - „კანონი“) 66¹¹ მუხლით გათვალისწინებული გამჭვირვალობის კრიტერიუმები.

შესაფერისი კრიტერიუმები

პასუხისმგებელი მხარის 2025 წლის გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის შეფასებისთვის გამოყენებულია „კანონის“ 66¹¹ მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლის მიხედვით გამჭვირვალობის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

1. ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს ბალანსს ან აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებას, ფინანსური წლის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების წლიურ ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
2. აქტიური ლიცენზიების შესახებ (მათ შორის, ახალი ლიცენზიების თაობაზე, რომელთა გაცემაც მოხდა საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში, დაყოფილი უფლების ან უფლებების კატეგორიების მიხედვით) და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ;
3. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობითი სტრუქტურის აღწერას;
4. ნებისმიერი იურიდიული პირის შესახებ, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად ფლობს ან აკონტროლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია;
5. ორგანიზაციის თავმჯდომარის, გამგეობის, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი

- ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ;
6. ფინანსურ ინფორმაციას შეგროვებული ჰონორარების შესახებ, მართვის ქვეშ მყოფი უფლებების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით (მაგალითად, მაუწყებლობა, ონლაინშესრულება, საჯარო შესრულება), მათ შორის, ინფორმაციას ჰონორარების ინვესტიციების შედეგად მიღებული შემოსავლების და ასეთი შემოსავლების გამოყენების მიზნობრიობის თაობაზე (მიუხედავად იმისა, ის უფლების მფლობელებს შორის განაწილდა, სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას გადაერიცხა ან სხვა მიზნობრიობით იქნა გამოყენებული);
 7. ფინანსურ ინფორმაციას უფლებების მართვის საფასურისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელებისთვის მიწოდებული სხვა მომსახურების შესახებ. ამ ინფორმაციაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სულ მცირე შემდეგი საკითხები:
 - 7.1 ყველა სამართავად გაწეული და ფინანსური ხარჯი, რომლებიც მოცემული უნდა იყოს მართვის ქვეშ მყოფი უფლებებისა და უფლებათა კატეგორიების მიხედვით. ნებისმიერი არაპირდაპირი ხარჯი, რომელიც ერთი ან რამდენიმე უფლების კატეგორიას არ მიეკუთვნება, უნდა შეიცავდეს ამ ხარჯების განაწილების მეთოდის აღწერას;
 - 7.2 ნებისმიერი ფინანსური ხარჯები, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებზე გაწეული ხარჯები;
 8. შეგროვილი ჰონორარების (მათი დეტალური აღწერის მითითებით) შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - 8.1 უფლების მფლობელებისთვის შეგროვებულ ჯამურ თანხას, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;
 - 8.2 უფლების მფლობელებისთვის გადახდილ ჯამურ ჰონორარს, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;
 - 8.3 გადახდების შესრულების სიხშირეს, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით;
 - 8.4 ინფორმაციას მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა უფლების მფლობელებზე, უფლების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით, და იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა;
 - 8.5 ინფორმაციას მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა იდენტიფიცირებულ უფლების მფლობელებზე უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით, და იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა;
 - 8.6 ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განაწილებისა და გადახდების განუხორციელებლობის შემთხვევაში – მისი დაგვიანების მიზეზებს;
 - 8.7 ინფორმაციას ჯამური გაუნაწილებელი თანხების შესახებ და ამ თანხების გამოყენების შემთხვევაში – ახსნა-განმარტებას, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული ეს თანხები;
 - 8.9 ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ თანხების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში – სპეციალურ ანგარიშებზე არსებულ თანხებზე დარიცხული სარგებლის და ამ სარგებლის განაწილების შესახებ ინფორმაციას;
 9. სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:
 - 9.1 სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან მიღებულ და მათთვის გადახდილ თანხებს, უფლების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით;
 - 9.2 სხვა ანალოგიური ორგანიზაციებისთვის შეგროვებული ჰონორარებიდან უფლების მართვის საფასურის შესახებ, უფლებებისა და უფლებების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით;
 - 9.3 სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და გადმორიცხული ჰონორარებიდან უფლებების მართვის საფასურის

შესახებ, უფლებებისა და უფლებების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10. სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების გამოყენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ფინანსური წლის განმავლობაში სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების ოდენობასა და თითოეულის მიზნობრიობის ტიპის თაობაზე ინფორმაციას.

სპეციფიკური მიზანი და მარწმუნებელი ანგარიშის გავრცელების შეზღუდვა

მარწმუნებელი ანგარიში გამიზნულია მხოლოდ სპეციფიკური მომხმარებლებისათვის, ვისთვისაც ხელმისაწვდომია განსახილველი საგნის ინფორმაციის აღწერაში ნახსენები „კანონის“ შინაარსი. შესაფერისი კრიტერიუმები გამოყენებულია მხოლოდ კონკრეტული განსახილველი საგნის შესაფასებლად. შესაბამისად, განსახილველი საგნის ინფორმაცია და მარწმუნებელი ანგარიში შეიძლება არ გამოდგეს სხვა მიზნებისათვის. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

პასუხისმგებელი მხარე და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

პასუხისმგებელ მხარეს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის (ს/კ 404574475). მისი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შესაბამისი განსახილველი საგნის შესახებ ჩვენთვის წარმოდგენილ ინფორმაციაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს საეჭვო ან სავარაუდო წინასწარგანზრახული ქმედებით, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, პასუხისმგებელმა მხარემ დააკმაყოფილა თუ არა გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის მოსამზადებლად „კანონის“¹¹ 66 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები; შევავსოთ შესაბამისი განსახილველი საგნი და შევადგინოთ დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გამოყენებული სტანდარტი

გარიგება ჩავატარეთ გადასინჯული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მასს) 3000 -ის „მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა“ შესაბამისად.

ხარისხის მართვა

ჩვენი აუდიტორული ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტ 1-ს, რომელიც ფირმას ავალდებულებს ხარისხის მართვის სისტემის შექმნას, დანერგვასა და ფუნქციონირებას, მათ შორის, ისეთი პოლიტიკის ან პროცედურების, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტების და სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფას.

დამოუკიდებლობა და სხვა ეთიკური მოთხოვნები

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით [„ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები)] განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული

კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

შესრულებული სამუშაოს რეზიუმე

დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით:

1. სათანადოდ დავგეგმეთ გარიგება. განვსაზღვრეთ გარიგების ფარგლები, ჩატარების ვადები და საერთო მიმართულებები;
2. გამოვკითხეთ განსახილველი საგნის ინფორმაციაზე პასუხისმგებელ მხარეს გააჩნდა თუ არა ინფორმაცია რაიმე ფაქტობრივი, საექვო ან სავარაუდო წინასწარგანზრახული უზუსტობის ან კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ, რაც გავლენას მოახდენდა განსახილველი საგნის ინფორმაციაზე;
3. მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები განსახილველი საგნის შესახებ;
4. შევაფასეთ მტკიცებულებად გამოიყენებული ინფორმაციის შესაფერისობა და საიმედოობა;
5. მოვიპოვეთ ოფიციალური წერილი განსახილველი საგნის ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირისაგან გარიგებისათვის შესაფერისი ინფორმაციის სრულად მოწოდების შესახებ.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავადგინეთ, რომ:

1. ფინანსური ანგარიშგება

- „კანონით“ არაა განსაზღვრული გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის კომპონენტის ფინანსურ ანგარიშგების მომზადების საფუძველები. პასუხისმგებელმა მხარემ გამოიყენა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებისთვის მინიჭებული უფლება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) გამოყენების შესახებ და 2025 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფასს სტანდარტების გამოყენებით, რაც არ ეწინააღმდეგება „კანონის“ მოთხოვნებს;
- გონივრულ ფარგლებში არაა მოსალოდნელი, რომ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია გავლენას მოახდენს ამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია შეცდომაში არ შეიყვანს კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის შესაფერისი ცოდნის მქონე მომხმარებლებს; და
- გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში ჩართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს პასუხისმგებელი მხარის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. აქტიური ლიცენზიები

- პასუხისმგებელი მხარე 2025 წელს აგრძელებდა ლიცენზიების გაცემას. გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია აქტიური ლიცენზიებისა და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

3. სამართლებრივი სტრუქტურის აღწერა

- გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი პასუხისმგებელი მხარის სამართლებრივი სტრუქტურა და მმართველობითი სტრუქტურა.

4. იურიდიული პირის ფლობა ან კონტროლი

- პასუხისმგებელმა მხარემ საანგარიშო პერიოდში დააფუძნა სპეციალური მიზნობრიობის მქონე ფონდი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით, რომელზეც ინარჩუნებს მნიშვნელოვან გავლენას. აღნიშნული ინფორმაცია გამჟღავნებულია გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში.

5. გადახდილი ანაზღაურება და სხვა სარგებელი

- გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოს პერსონალისათვის წლის განმავლობაში გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ.

6. ინფორმაცია შეგროვებული ჰონორარების შესახებ

- პასუხისმგებელი მხარის მიერ შეგროვილი ჰონორარები (მართვის საფასურის და სპეციალური მიზნობრიობის მქონე ფონდის დასაფინანსებლად მიზნობრივი დაქვითვის შემდეგ) გამოყენებული იყო მხოლოდ უფლების მფლობელებზე გასანაწილებლად. ჰონორარების ინვესტირება და მისგან შემოსავლების მიღების ფაქტი არ დაფიქსირებულა. ინფორმაცია შეგროვებული ჰონორარებისა და მათი გამოყენების შესახებ გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში აღწერილია დეტალურად.

7. უფლებების მართვის საფასური და უფლების მფლობელებისთვის მიწოდებული სხვა მომსახურება

- პასუხისმგებელმა მხარემ 2025 წელს უფლებების მართვის საფასურის სახით გამოქვითვა განახორციელა წლის განმავლობაში შეგროვილი თანხებიდან და 2024 წელს შეგროვილი თანხების იმ ნაწილიდან, რომელიც არ იყო განაწილებული უფლების მფლობელთა იდენტიფიცირების შეუძლებლობისა და/ან მიუკვლეველობის გამო და რომელიც განაწილებას დაექვემდებარა 2025 წელს. (შეგროვილი ჰონორარიდან, რომელიც 2024 წელს ვერ განაწილდა უფლების მფლობელთა იდენტიფიცირების შეუძლებლობისა და/ან მიუკვლეველობის გამო, უფლების მართვის საფასური არ ყოფილა გამოქვითული იმავე საანგარიშგებო პერიოდში);
- გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში აღწერილია უფლების მართვის საფასურის ოდენობა შემოსულობის წყაროების მიხედვით და ინფორმაცია გაწეული ხარჯების შესახებ;
- პასუხისმგებელ მხარეს უფლების მფლობელებისთვის, ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების გარდა, სხვა მომსახურება არ შეუსრულებია.

8. შეგროვილი ჰონორარები

- გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი ინფორმაცია შეგროვილი ჰონორარების შესახებ;
- შეგროვილი ჰონორარების შესახებ ინფორმაცია, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით, მოიცავს შეგროვებულ ჯამურ თანხას; უფლების მფლობელებისთვის გადახდილ ჯამურ ჰონორარს; გადახდების შესრულების სიხშირეს; ინფორმაციას იმ თანხების შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა უფლების მფლობელებზე, უფლების მფლობელთა იდენტიფიცირების შეუძლებლობისა და/ან მიუკვლეველობის გამო; სხვა ინფორმაციას, რომლის

აღწერაც მოთხოვნილია შეგროვილ ჰონორართან დაკავშირებით „კანონის“ შესაბამისად.

- საანგარიშო პერიოდში შეგროვებული ჰონორარის თანხები მთლიანად დაექვემდებარა განაწილებას; განაწილებული ჰონორარები დროულად იქნა გადახდილი იდენტიფიცირებულ უფლების მფლობელებზე;

9. სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა

- უფლების მფლობელების ინტერესების გათვალისწინებით, პასუხისმგებელი მხარე საანგარიშგებო პერიოდში ურთიერთობას აგძელებდა სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან;
- საანგარიშგებო პერიოდში ასოციაციამ პირველად განახორციელა სხვა ანალოგიური ორგანიზაციებისთვის შეგროვებული ჰონორარების გადახდა;
- გამჭვივალობის წლიური ანგარიში ასახავს ინფორმაციას სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან მიღებული და მათთვის გადახდილი ჰონორარების მოცულობისა და მართვის საფასურის შესახებ.

10. გამოქვითვები სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის

- საანგარიშო პერიოდში შეგროვილი ჰონორარებიდან არ ყოფილა გამოქვითული თანხები სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის;
- ასოციაცია 2025 წლის მარტიდან ახორციელებს სპეციალური მიზნობრიობის მქონე ფონდის დასაფინანსებლად მიზნობრივ დაქვითვას. დაქვითული და ფონდისთვის გადაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია წარდგენილია გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლისთვის მომზადებულ გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია სამართლიანად ასახავს პასუხისმგებელი მხარის საქმიანობით მიღწეულ შედეგებს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მტკიცება იმის შესახებ, რომ 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საფინანსო წლის გამჭვირვალობის წლიური ანგარიში სათანადოდ არის მომზადებული, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანი განცხადებაა.

აუდიტორი

რევაზ ძამამია

26 აგვისტო 2026 წ.

შესავალი და საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია“ (შემდგომში - „ასოციაცია“/„IPOA“) ს/ნ: 404574475) წარმოადგენს ქართველ საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა მიერ დაფუძნებულ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ერთადერთ აკრედიტირებულ ორგანიზაციას.

ასოციაცია ფუნქციონირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში.

ასოციაცია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში - „კანონი“) და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

სსიპ „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა“ (შემდგომში - „საქპატენტი“) 2023 წლის 29 დეკემბერს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის N3 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, N438 ბრძანებით ასოციაციას მიანიჭა აკრედიტაცია, რის საფუძველზეც იგი უფლებამოსილია, უზრუნველყოს უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვა.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (შემდგომში - „საანგარიშო პერიოდი“) და წარმოადგენს ასოციაციის მიერ მომზადებულ მეორე გამჭვირვალობის წლიურ ანგარიშს.

2025 წლის განმავლობაში ასოციაციამ უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სისტემის გაძლიერებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი დაახლოების მიზნით 2024 წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე განახორციელა არაერთი აქტიური და ეფექტიანი ქმედება.

საანგარიშო პერიოდში, ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული კომუნიკაციასა და მოლაპარაკებების წარმოებაში, როგორც მოსარგებლებთან, ისე დაინტერესებულ სხვა მესამე პირებთან. აღნიშნული პროცესები მიზნად ისახავდა მოქმედი სალიცენზიო ურთიერთობების განვითარებასა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში. ასევე, თანამედროვე გამოწვევების განხილვასა და მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ხანგრძლივი მოლაპარაკებების, ინტენსიური კომუნიკაციისა და მედიატივის პროცესების შედეგად, ასოციაციამ რადიომალწყებლებთან მიაღწია ურთიერთშეთანხმებას და მხარეთა შორის გაფორმდა შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებები. აღნიშნულით დაასრულდა 2024 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწყებული პროცესები, რა დროსაც რიგი რადიომალწყებლები უარს აცხადებდნენ შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმებაზე. აღნიშნულმა ფაქტმა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საავტორო და მომიჯნავე უფლებების გაუმჯობესებულ ადმინისტრირებასა და უფლებამფლობელთა სათანადო ანაზღაურებით უზრუნველყოფას.

2025 წლის განმავლობაში, ასოციაციის წარმომადგენლებმა სამუშაო ვიზიტების ფარგლებში გამართეს მოლაპარაკებები საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებთან და პარტნიორ კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან. აღნიშნული შეხვედრების/მოლაპარაკებების ფარგლებში განხილულ იქნა საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები, გაფართოების, გამოცდილების გაზიარების, უფლებების ადმინისტრირების თანამედროვე მექანიზმების დანერგვისა და საერთაშორისო პრაქტიკის საქართველოში ინტეგრირების საკითხები.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო ურთიერთწარმომადგენლობითი ქსელის გაფართოებას. საანგარიშო პერიოდში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი საერთაშორისო ურთიერთწარმომადგენლობითი განვითარების მიმართულებით, მათ შორის „ავტორთა და კომპოზიტორთა

საზოგადოების საერთაშორისო კონფედერაციისა” (სიზაკი/CISAC) და „შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციების საბჭოს” (სკაპრი/SCAPR) სისტემების ფარგლებში. ზემოხსენებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო რეპერტუარის ეფექტიან ადმინისტრირებას, უცხოელი უფლებამფლობელების ინტერესების დაცვას საქართველოში, ასევე ქართველი უფლებამფლობელების ინტერესების წარმომადგენლობას საზღვარგარეთ.

2025 წელი ასევე პროდუქტიული და მნიშვნელოვანი იყო ასოციაციის სხვა ისეთი მიმართულებითაც, როგორიცაა სასამართლოში საქმის წარმოება, კერძოდ ასოციაციამ წარმატებით გააგრძელა სასამართლო დავების წარმოება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მიზნით. საანგარიშო პერიოდში, მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შედეგები, როგორც საჯარო შესრულებასთან, ისე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 51-ე მუხლებით გათვალისწინებული ჰონორარის/კომპენსაციის გადახდასთან (კერძო კოპირება) დაკავშირებულ სამართლებრივ დავებში. აღნიშნულმა პრაქტიკამ კიდევ უფრო უზრუნველყო უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

2025 წელს, ასოციაციამ დააფუძნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მესმა-კულტურის განვითარების ფონდი” (ს/ნ: 404772411) (შემდგომში - „ფონდი”/„მესმა”), რომლის მიზანია კულტურის, ხელოვნებისა და შემოქმედებითი სფეროების განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ავტორთა, შემსრულებელთა და სხვა უფლებამფლობელთა მხარდაჭერი საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური ინიციატივების განხორციელება.

2025 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ასოციაციის საქმიანობის მასშტაბი. გაიზარდა საერთაშორისო თანამშრომლობა, გაფართოვდა ურთიერთწარმომადგენლობითი ურთიერთობები, ინტენსიური გახდა კომუნიკაცია მოსარგებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან/პირებთან, განვითარდა სალიცენზიო საქმიანობა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, ხოლო სასამართლო პრაქტიკაში მიღწეულმა შედეგებმა კიდევ უფრო გააძლიერა ასოციაციის როლი ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სფეროში.

„IPOA” საქმიანობას აგრძელებს უფლებამფლობელთა ინტერესების დასაცავად ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

1 ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც მოიცავს ბალანსს ან აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებას, ფინანსური წლის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების წლიურ ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას

ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების შესახებ დანართი N1-ის სახით იხ. წინამდებარე დოკუმენტის ბოლოს.

2 ინფორმაცია აქტიური ლიცენზიების შესახებ (მათ შორის, ახალი ლიცენზიების თაობაზე, რომელთა გაცემაც მოხდა საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში, დაყოფილი უფლების ან უფლებების კატეგორიების მიხედვით) და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ

2025 წელს ასოციაციის მიერ ლიცენზიები გაიცა სხვადასხვა უფლებათა კატეგორიის მოსარგებლებისთვის, რაც მათ ანიჭებს უფლებას, ისარგებლონ საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებებით და კანონით დაცული სხვა ობიექტებით.

ამავე ნაწილში წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც უკავშირდება კანონის 21-ე და 51-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებების მართვას ე.წ. „კერძო კოპირება”. საგულისხმოა, რომ „კერძო კოპირების” შემთხვევაში, ასოციაციის მიერ ჰონორარის შეგროვების საფუძველი კანონისმიერია, შესაბამისად, ასოციაცია ზემოხსენებული მუხლებით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებას უზრუნველყოფს ლიცენზიის გაცემის გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია 2025 წლის პერიოდში გაცემული აქტიური ლიცენზიების და „კერძო კოპირების” შესახებ, დაყოფილი უფლებებისა და უფლებათა კატეგორიების მიხედვით.

2.1 საჯარო გადაცემის უფლება

კანონის მე-4 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო გადაცემა გულისხმობს „ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა) ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დამორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.“

ასოციაცია, საჯარო გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით ლიცენზიების გაცემას ახორციელებს მუსიკალურ ნაწარმოებებზე (ტექსტით და მის გარეშე), დრამატულ და მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, სახვითი ხელოვნების და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე, ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე, რომლებიც მიღებულია ფოტოგრაფირების ანალოგიურ მეთოდებზე.

საჯარო გადაცემის მიზნებისთვის ასოციაცია უზრუნველყოფს შესაბამის მოსარგებლებთან სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელთა საფუძველზეც ასოციაცია მათგან აგროვებს ჰონორარს მუსიკალური ნაწარმოებებისა და ფონოგრამების გამოყენებისათვის, როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებების სუბიექტთა სასარგებლოდ მიღებული ჰონორარის უფლებამფლობელთათვის შემდგომი განაწილების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, ასოციაციის მიერ საჯარო გადაცემის უფლებაზე გაიცა 27 ლიცენზია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სხვადასხვა ჟანრის ტელე/რადიო პროგრამების შექმნა და საჯარო გადაცემა; მუსიკალური ნაწარმოების და ფონოგრამების საჯარო გადაცემა; მაუწყებლობის სიგნალის ხელახალი გადაცემა საბოლოო მომხმარებელამდე.

2.2 საჯარო შესრულების უფლება

კანონის მე-4 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო შესრულება გულისხმობს „ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით.“

ნაწარმოებთა საჯარო შესრულების გზით გამოყენება, კანონით მოითხოვს შესაბამისი ლიცენზიის მოპოვებას, რაც უფლებამფლობელების ინტერესების დაცვისა და ჰონორარის შეგროვების უზრუნველყოფის იურიდიულ მექანიზმს წარმოადგენს.

საჯარო შესრულების მიზნებისთვის, ასოციაცია უზრუნველყოფს, სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომლის საფუძველზეც ასოციაცია აგროვებს ჰონორარს მუსიკალური ნაწარმოებებისა და ფონოგრამების გამოყენებისათვის, როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებათა სუბიექტთა სასარგებლოდ და მის საფუძველზე მიღებული ჰონორარის, უფლებამფლობელთათვის განაწილებას.

მოსარგებლეთა მიერ, ნაწარმოებთა საჯარო შესრულების უფლებით სარგებლობის მიზნით, ასოციაცია ლიცენზიებს გასცემს ნაწარმოებებზე (მუსიკალური ნაწარმოებები, ტექსტით და მის გარეშე), დრამატული და მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებზე, პანტომიმებზე; სხვადასხვა წარმოდგენების (თეატრალური, საოპერო, საცირკო და სხვა) შემთხვევაში, ჰონორარი გროვდება, როგორც წარმოდგენებში გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოებების ავტორების სასარგებლოდ, ასევე მასში მონაწილე სხვა ავტორთა (მათ შორის, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი, სცენარის ავტორი,

კოსტიუმების მხატვარი და სხვა) სასარგებლოდ. ამრიგად, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე, ასოციაცია აგროვებს ჰონორარებს შემოქმედებითი ჯგუფის (საავტორო და მომიჯნავე სუბიექტები) ყველა კატეგორიის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელთა შემოქმედებითი ნამუშევარი გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობაში/დადგმაში.

საანგარიშო პერიოდში, ასოციაციის მიერ საჯარო შესრულების უფლებაზე გაიცა 621 ლიცენზია, რომლის ფარგლებშიც მოსარგებლეთა მიერ ხორციელდება ნაწარმოებთა საჯარო შესრულება.

2.3 ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის (კერძო კოპირება)

ასოციაცია კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების მართვას ახორციელებს საქპატენტის 2023 წლის 29 დეკემბრის N438 ბრძანების 1.2. პუნქტის საფუძველზე.

კერძო კოპირებით გათვალისწინებული ჰონორარის გადახდა ხორციელდება იმპორტიორებისა და მწარმოებლების მიერ იმ მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტისა თუ წარმოების შემთხვევაში, რომლებიც განკუთვნილია კერძო კოპირებისთვის.

სატარიფო განაკვეთი, ჰონორარის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი განისაზღვრა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 2024 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 24 ოქტომბერს. ასოციაციამ ჰონორარის ფაქტობრივი შეგროვება დაიწყო 2024 წლის ნოემბრიდან. შესაბამისად, 2025 წელი წარმოადგენს პირველ სრულ კალენდარულ წელს, რომლის განმავლობაშიც კერძო კოპირების ჰონორარის ადმინისტრირება განხორციელდა სრული მოცულობით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიშში მოცემულია გადაწყვეტილების ფარგლებში ადმინისტრირებული მონაცემები.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციამ ინვოისი გასცა 1 446 სუბიექტზე (იმპორტიორი), საიდანაც ამავე პერიოდში ჰონორარის გადახდა განხორციელდა 1 124 სუბიექტის მიერ, ხოლო დანარჩენმა სუბიექტებმა ჰონორარის გადახდის ვალდებულების შეასრულება დაიწყეს 2026 წელს.

2.4 უფლებათა კატეგორიების სტრუქტურა

კატეგორია	ქვეკატეგორიები
საჯარო გადაცემა	ტელემაუწყებლები; რადიომაუწყებლები; ტრანზიტული კავშირის ოპერატორები
საჯარო შესრულება	მოსარგებლეები (ცოცხალი შესრულება/ფონური მუსიკა); სხვადასხვა წარმოდგენები/ლონისძიებები; აუდიოვიზუალური ნაწარმოებები
კერძო კოპირება	იმპორტიორები/მწარმოებლები

2025 წელს, ასოციაციას ლიცენზიის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე არცერთი მოსარგებლისთვის არ უთქვამს უარი. შესაბამისად, ნაწარმოებების გამოყენების უფლების მოპოვების შესახებ მიღებული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

3 ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობითი სტრუქტურის აღწერა

ასოციაციის მმართველობითი სტრუქტურა

ასოციაცია თავის საქმიანობას ახორციელებს მმართველი ორგანოების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

3.1 ასოციაციის მართვის ორგანოები

კანონისა და წესდების თანახმად, ასოციაციის მართვის ორგანოებია:

- ასოციაციის წევრთა საერთო კრება;
- ასოციაციის გამგეობა;
- ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო.

ასოციაციის მიერ კოლექტიურ საფუძველზე უფლებამფლობელების ქონებრივი უფლებების მართვის პროცესის შიდა კონტროლს და ზედამხედველობას, ასევე ასოციაციის საქმიანობის პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

3.1.1 ასოციაციის წევრთა საერთო კრება

საერთო კრება წარმოადგენს ასოციაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს, რომლის უფლებამოსილების ფარგლებს არეგულირებს კანონის 66¹³ მუხლი. აღნიშნულ სამართლებრივ დებულებასთან თანხვედრაში, ასოციაციის წესდების მე-7 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საერთო კრების მოწვევის, ჩატარების, ორგანიზებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ წესებს, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ასოციაციაში გაწევრიანებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ასოციაციაში გაწევრიანდა 251 უფლებამფლობელი/წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ასოციაციის წევრთა საერთო კრების სხდომები, რომელთა ფარგლებში დამტკიცდა ასოციაციის გამჭვირვალობის 2024 წლის ანგარიში და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ფონდის დაფუძნების, წესდების ცვლილების, მმართველ ორგანოთა წევრების არჩევის/ჩანაცვლების, ჰონორარის განაწილების, ასოციაციაში მოქმედი წესებისა და პოლიტიკების დამტკიცების და სხვა საკითხების შესახებ.

3.1.2 ასოციაციის გამგეობა

ასოციაციის გამგეობა არის ასოციაციის მუდმივმოქმედი მმართველი ორგანო, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას საერთო კრებებს შორის პერიოდში.

გამგეობის უფლებამოსილება, მის საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, მათ შორის სხდომების მოწვევა, გამგეობის წევრების არჩევის წესი, მათ კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად განსაზღვრულია ასოციაციის წესდების მე-8 მუხლში.

ასოციაციის გამგეობა შედგება 7 წევრისგან. იგი დაკომპლექტებულია, როგორც ასოციაციის წევრი ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან (მათ შორის: ავტორები, შემსრულებლები, მომღერლები, მხატვრები და სხვ.), ასევე წესდებით განსაზღვრული წესით მოწვეული პირებისგან.

2023 წლის 12 ნოემბერს ასოციაციის საერთო კრების მიერ წესდების შესაბამისად, ასოციაციის გამგეობის შემადგენლობა და გამგეობის თავმჯდომარე არჩეულ იქნა წესდებით განსაზღვრული ვადით (5 წელი). 2025 წლის 12 მარტს და 2025 წლის 15 სექტემბერს საერთო კრების გადაწყვეტილებებით განხორციელდა გამგეობის წევრების ცვლილება.

ასოციაციის გამგეობის წევრთა შემადგენლობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

- თავმჯდომარე/წევრი: თამარ გვარიშვილი;
- წევრი: ნინო სეჟანია;
- წევრი: ლაშა ნიქაბაძე;
- წევრი: ალექსანდრე გვარიშვილი;
- წევრი: მაია კობახიძე;
- წევრი: რუსუდან მორჩილაძე;
- წევრი: თენგიზ ირემაშვილი.

2025 წელს ასოციაციის გამგეობის სხდომები მოწვეული იყო საჭიროებისამებრ, ასოციაციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სხდომებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

სხდომები ასახულია შესაბამის ოქმებში, რაც უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივ ძალას.

3.1.3 ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო

ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო, წარმოადგენს ასოციაციის წევრი უფლებამფლობელების ინტერესებს და მონაწილეობს ასოციაციის საქმიანობის მართვის პროცესში.

საბჭოს უფლებამოსილების, წევრთა არჩევის, სხდომების მოწვევის, საქმიანობის წესისა და მის კომპეტენციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს დეტალურად არეგულირებს ასოციაციის წესდების მე-9 მუხლი.

უფლებამფლობელთა საბჭოს წევრები არჩეულია ასოციაციის საერთო კრების მიერ წესდებით განსაზღვრული ვადით (5 წელი). 2025 წლის 12 მარტის და 2025 წლის 15 სექტემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებებით განხორციელდა უფლებამფლობელთა საბჭოს წევრების ცვლილება. საბჭო დაკომპლექტებულია სხვადასხვა კატეგორიის უფლებამფლობელებით, მათ შორის კომპოზიტორებით, შემსრულებლებით, დრამატურგებითა და სფეროს სხვა წარმომადგენლებით.

უფლებამფლობელთა საბჭოს წევრები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- წევრი: ჯემალ სეფიაშვილი;
- წევრი: ზურაბ ხაჩიძე;
- წევრი: მარინე მალაზონია;
- წევრი: რომან რცხილაძე;
- წევრი: გიორგი მაჭარაშვილი;
- წევრი: ბორის შხიანი;
- წევრი: გიორგი კუხიანიძე;
- წევრი: ქეთევან სულაქველიძე;
- წევრი: მანანა თუმანიშვილი;
- წევრი: თეიმურაზ რცხილაძე;
- წევრი: ირაკლი გეწაძე;
- წევრი: დათო ევგენიძე;
- წევრი: კახა ცაბაძე;

2025 წელს ასოციაციაში უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომების მოწვევა ხორციელდებოდა საჭიროებისამებრ. გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებში. ჩატარებული სხდომები ასახულია შესაბამის ოქმებში.

3.2 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს ასოციაციის შიდა ზედამხედველ ორგანოს, რომლის მთავარი ფუნქციაა ასოციაციის საქმიანობის კანონიერებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, აგრეთვე გამგეობისა და სხვა მმართველი ორგანოების მოქმედების კონტროლი.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება, წევრობის წესი, საქმიანობის ფორმატი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები რეგულირდება კანონის 66¹⁴ პუნქტის და ასოციაციის წესდების მე-11 მუხლის თანახმად.

საბჭოს შემადგენლობა აირჩია ასოციაციის საერთო კრებამ 2023 წლის 20 ივლისს, წესდებით განსაზღვრული ვადით (5 წელი). 2023 წლის 12 ნოემბერს და 2025 წლის 15 სექტემბერს საერთო კრების გადაწყვეტილებებით განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილება. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ხელოვნების სხვადასხვა სფეროს (ავტორი, შემსრულებელი, მომღერალი, მხატვარი და სხვ.) წარმომადგენლებისგან.

სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრების წინაშე და ვალდებულია კრებას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში. 2025 წლის საანგარიშო პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოს არ მიუღია არცერთი მიმართვა დავების განხილვის თაობაზე, რომელიც ეხებოდა უფლებების მართვის ხელშეკრულების შეწყვეტას, უფლებების გამოთხოვას, წევრობაზე უარის თქმას ან ჰონორარის განაწილება-გადახდასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ირმა სოხაძე;
- მიხეილ რამიშვილი;
- მარინე ჯორჯაძე;
- ოთარ ლითანიშვილი;
- ნუგზარ კვაშალი;

3.3 ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების თაობაზე საკითხი რეგულირდება კანონის 66¹⁵ მუხლით და წესდების მეათე მუხლით. აღნიშნული პირები პასუხისმგებელნი არიან ასოციაციის საქმიანობის ხელმძღვანელობასა და მისი სახელით მოქმედებაზე, როგორც შიდა, ისე საგარეო ურთიერთობებში.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები იყვნენ:

- ასოციაციის თავმჯდომარე - თამარ გვარიშვილი;
- ასოციაციის გენერალური დირექტორი - გიორგი ნიკოლაიშვილი;
- ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი - სტეფან შულცი.

ხსენებული პირები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის, ასოციაციის წესდებისა და შიდაორგანიზაციული დოკუმენტაციის შესაბამისად. ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ და უზრუნველყონ ეფექტიანი შიდა მმართველობა და კონტროლი.

2025 წელი წარმოადგენს ასოციაციისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ მეორე სრულ კალენდარულ წელს, რომლის განმავლობაშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, როგორც ლიცენზირების გაფართოებას, ასევე კერძო კოპირების ადმინისტრირებას, საერთაშორისო ინტეგრაციასა და შიდა კონტროლის სისტემების დახვეწას.

3.3.1 გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორი წარმოადგენს ასოციაციის აღმასრულებელ ხელმძღვანელს. გიორგი ნიკოლაიშვილი გენერალურ დირექტორად აირჩია საერთო კრებამ 2023 წლის 12 ნოემბერს.

გენერალური დირექტორის საქმიანობა მოიცავს როგორც ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის მართვას/კორდინირებას, ისე სტრატეგიული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფას, მათ შორის:

- მოსარგებლებთან მოლაპარაკებების წარმოება;
- ასოციაციის ქონებრივი და ფინანსური მართვა;
- შრომითი და ადმინისტრაციული პოლიტიკის განხორციელება;
- ასოციაციის სახელით ხელშეკრულებების დადება და წარმომადგენლობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

3.3.2 ასოციაციის თავმჯდომარე

თამარ გვარიშვილი ასოციაციის თავმჯდომარედ (ამავდროულად გამგეობის თავმჯდომარედ) აირჩია საერთო კრებამ 2023 წლის 12 ნოემბერს წესდებით განსაზღვრული ვადით (5 წელი). თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციას მინდობილობის გარეშე, ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას, იწვევს სხდომებს, ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს და უზრუნველყოფს გამგეობის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

გენერალურმა დირექტორმა და თავმჯდომარემ ერთობლივად უზრუნველყვეს:

- ურთიერთობების ჩამოყალიბება და ხელშეკრულებების დადება ისეთ სუბიექტებთან, როგორებიც არიან: ტელე-რადიო მაუწყებლები, ტრანზიტული კავშირის ოპერატორები, თეატრები, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოები და სხვა;
- მოლაპარაკებების წარმოება/დასრულება და სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმება რადიო-მაუწყებლების სექტორთან.

3.3.3 საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი

სტეფან შულცი საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორად აირჩია საერთო კრებამ 2023 წლის 12 ნოემბერს. საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი ხელმძღვანელობს ასოციაციის საგარეო ურთიერთობებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას.

2025 წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორმა უზრუნველყო კავშირების დამყარება და განმტკიცება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებთან, ანალოგიურ უცხოურ ორგანიზაციებთან და მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, მათ შორის უცხოელ პარტნიორებთან. აღნიშნული პროცესები დღემდე გრძელდება.

4 ინფორმაცია ნებისმიერი იურიდიული პირის შესახებ, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად ფლობს ან აკონტროლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია

2025 წელს ასოციაციამ, საერთო კრების (15/05/2025) გადაწყვეტილებით დააფუძნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მესმა-კულტურის განვითარების ფონდი“ (ს/კ: 404772411).

ფონდი წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საკუთარი წესდებისა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

ფონდის საქმიანობის მიზანია კულტურის, ხელოვნებისა და შემოქმედებითი სფეროების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინიციატივების მხარდაჭერა. ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სხვადასხვა კულტურული, შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა მიზნობრივი პროექტების დაფინანსება და მხარდაჭერა, აგრეთვე ისეთი ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა, რომლებიც ემსახურება კულტურისა და ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

ასოციაცია არც პირდაპირ და არც ირიბად, სრულად და/ან ნაწილობრივ არ ფლობს და/ან არ აკონტროლებს სხვა იურიდიულ პირ(ებ)ს.

5 ინფორმაცია ორგანიზაციის თავმჯდომარის, გამგეობის, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მთლიანი ოდენობის და მათთვის მინიჭებული სხვა სარგებლის შესახებ

2025 წლის განმავლობაში ასოციაციამ გასცა გამგეობის, ასოციაციის/გამგეობის თავმჯდომარის, უფლებამფლობელთა საბჭოს წევრების, აგრეთვე სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის სხვადასხვა სახის ანაზღაურება.

ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მონაცემები ანაზღაურებისა და სხვა სარგებლის შესახებ:

ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების მთლიანმა თანხამ შეადგინა 304 998 ლარი;

ასოციაციის საბჭოების/კომისიების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის სარგებლის სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა 51 627 ლარი;

ასოციაციის გამგეობის, უფლებამფლობელთა საბჭოს, ასოციაციის სხვა კომისიებისა და საბჭოების წევრებისთვის, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებისთვის გადახდილმა ჰონორარის სრულმა ოდენობამ შეადგინა 803 749 ლარი.

*აღნიშნული თანხები მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახელმწიფო გადასახადს.

6 ფინანსური ინფორმაცია შეგროვებული ჰონორარების შესახებ

საანგარიშო პერიოდში შეგროვებული ჰონორარების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა: 27 116 801 ლარი. უფლებათა კატეგორიების და უფლებათა გამოყენების ტიპისა და მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით, შეგროვებული ჰონორარები წარმოდგენილია შესაბამისი ცხრილების (იხ. 6.1 და 6.2) სახით.


რაც შეეხება ინვესტიციების შედეგად მიღებულ შემოსავლებს, აღნიშნული ტიპის შემოსავლები საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა.

შეგროვებული ჰონორარები ქვემოთ წარმოდგენილია ორ ჭრილში:

- მართვის ქვეშ მყოფი უფლებების კატეგორიების მიხედვით;
- გამოყენების ტიპის და მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით.

6.1 შეგროვებული ჰონორარები უფლებათა კატეგორიების მიხედვით


უფლების კატეგორია	შეგროვებული ჰონორარი (ლარი)
საავტორო უფლებები	6 019 214
მომიჯნავე უფლებები	2 856 538
კერძო კოპირება (კანონის 21-ე მუხლი)	18 241 049
სულ	27 116 801




6.2 შეგროვებული ჰონორარები გამოყენების ტიპისა და მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით

გამოყენების ტიპი	მოსარგებლის კატეგორია	თანხა (ლარი)
საჯარო გადაცემა	მაუწყებლები	1 103 517
საჯარო გადაცემა	ტრანზიტული კავშირის ოპერატორები	1 096 965
საჯარო შესრულება	მოსარგებლები: ცოცხალი შესრულება/ფონური მუსიკა	3 581 016
საჯარო შესრულება	სხვადასხვა წარმოდგენები/ღონისძიებები	238 917
საჯარო შესრულება	აუდიოვიზუალური ნაწარმოებები	107 506
კერძო კოპირება	იმპორტიორები	18 241 049

გამოყენების ტიპი	მოსარგებლის კატეგორია	თანხა (ლარი)
სხვა ანალოგიური ორგანიზაციები	უცხოური/ადგილობრივი კოლექტიური მართვის ორგანიზაციები	2 747 831
სულ		27 116 801



მოსარგებლეთა კატეგორია



7 ფინანსური ინფორმაცია უფლებების მართვის საფასურისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ უფლების მფლობელებისთვის მიწოდებული სხვა მომსახურების შესახებ

ასოციაციამ 2025 წლის განმავლობაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული ჰონორარ(ებ)იდან უზრუნველყო უფლებების მართვის საფასურის და კანონით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვა და უფლებამფლობელთათვის განაწილება. აღნიშნული თანხების ჯამური ოდენობები შემდეგია:

- შეგროვებული ჰონორარი: 27 116 801 ლარი;
- უფლებების მართვის საფასური: 5 423 360 ლარი;

უფლებების მართვის საფასურის ოდენობა არ აღემატება კანონით დადგენილ ზღვარს, კერძოდ ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის 20% პროცენტს. უფლებების მართვის საფასური მოიცავს უფლებების მართვის, ჰონორარის შეგროვების და განაწილების ხარჯებს:


- ადმინისტრაციული ხარჯები; (ხელფასები; ჰონორარები; საოფისე; საკურიერო; ფინანსური მომსახურება და სხვა);
- ტექნიკური და საოპერაციო ხარჯები: (ინფორმაციული სისტემების შენახვა და განახლება, დარიცხვების პროგრამები, ბაზები; რეპერტუარის იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის ხარჯები; აუდიო/ვიდეო მონიტორინგი და გამოყენების კონტროლი; უსაფრთხოების და არქივირების ხარჯები და სხვა);
- აუდიტის და ზედამხედველობის ხარჯები: (შიდა/გარე აუდიტის მომსახურება);
- საერთაშორისო წარმომადგენლობა და კომუნიკაცია: (საერთაშორისო კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ჰონორარის გადარიცხვის ხარჯები და სხვა).

გარდა ზემოხსენებული თანხებისა, ასოციაციამ საანგარიშო პერიოდში უფლებამფლობელთა სასარგებლოდ უზრუნველყო 2024 წელს შეგროვებული და უფლებამფლობელთა იდენტიფიცირების ან/და მიკვლევადობის შეუძლებლობის გამო, გაუნაწილებელი ჰონორარის ნაშთიდან 568 907 ლარის განაწილება ოდენობით, ხოლო აღნიშნული თანხიდან ასოციაციის მიერ უფლებების მართვის საფასურმა შეადგინა 113 781 ლარი.

შემოსავლის ძირითადი წყაროები:

შემოსავლის წყარო	ჯამი (ლარი)	უფლებების მართვის საფასური, შეგროვებული ჰონორარის არაუმეტეს 20% (ლარი)
სალიცენზიო ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	6 127 921	1 225 584
კერძო კოპირებიდან მიღებული შემოსავალი	18 241 049	3 648 210
სხვა ანალოგიური ტიპის ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავალი	2 747 831	549 566
სულ	27 116 801	5 423 360

შემოსავლის ძირითადი წყაროები



7.1 სამართავად გაწეული ყველა ფინანსური ხარჯი

ასოციაცია უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის გარდა სხვა საქმიანობას არ ახორციელებს. საქმიანობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები დეტალურად წარდგენილია ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში (დანართი #1.) რაც შეეხება სამართავად გაწეულ ფინანსურ ხარჯებს, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულების პროცენტის (101 726) და საპროცენტო ხარჯის (161 573 ლარი) სახით. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ასოციაციის ფინანსურ შედეგზე გავლენის მომხდენ ხარჯს, რადგან იგი სარგებლის დარიცხვის გარეშე მიღებული სესხის დისკონტირების შედეგად აღრიცხული სესხის ამორტიზაციის შედეგია და ფინანსური შედეგის ანგარიშგებაში მისი ტოლი თანხა შემოსულობის სახით აღიარდება ხოლმე. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წელს სამართავად გაწეული ფინანსური ხარჯი რეალურად 101 726 ლარის ტოლია.

7.2 ფინანსური, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებზე გაწეული ხარჯები

2025 წლის მონაცემებით ასოციაციას არ განუხორციელებია სოციალურ, კულტურულ ან საგანმანათლებლო მომსახურებებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით არ განხორციელებულა ფინანსური ოპერაცია.

8 ინფორმაცია შეროვებული ჰონორარების შესახებ

8.1 უფლების მფლობელებისთვის შეროვებული ჯამური თანხა, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ასოციაციის მიერ უფლებამფლობელთა სასარგებლოდ შეროვებული ჰონორარების ოდენობა, უფლებათა კატეგორიის და ტიპის მიხედვით, ჯამურად შეადგენს: 27 116 801 ლარს.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია შეროვებული ჰონორარების შესახებ უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის ჭრილში.

გამოყენების ტიპი	საავტორო უფლებები	მომიჯნავე უფლებები	კერძო კოპირება	ჯამი
საჯარო გადაცემა	1 466 842	733 641	_____	2 200 483
საჯარო შესრულება	2 925 107	1 002 331	_____	3 927 438
კერძო კოპირება	_____		18 241 049	18 241 049
სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან მიღებული	1 627 265	1 120 566	_____	2 747 831
სულ	6 019 214	2 856 538	18 241 049	27 116 801

8.2 უფლების მფლობელებისთვის გადახდილი ჯამური ჰონორარები, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით


2025 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ასოციაციის მიერ უფლებამფლობელთა სასარგებლოდ გადახდილი ჰონორარების ჯამური ოდენობა შეადგენს: 14 221 042 ლარს, რომელიც უფლებათა კატეგორიის და ტიპის მიხედვით, გადანაწილდა შემდეგი პროპორციით:

უფლებათა კატეგორიების მიხედვით განაწილებული ჰონორარები:

კატეგორია	თანხა (ლ)
საავტორო უფლებები	9 117 110
მომიჯნავე უფლებები	5 103 932
სულ	14 221 042

საავტორო
უფლებები
9 117 110

მომიჯნავე
უფლებები
5 103 932




სულ 14 221 042 ლ

გამოყენების ტიპის მიხედვით განაწილებული ჰონორარები, საქართველოს ტერიტორიაზე:

ტიპი	თანხა (ლ)
საჯარო შესრულება	2 369 226
საჯარო გადაცემა	1 345 311
კერძო კოპირება	10 506 506
სულ	14 221 042

კერძო კოპირება
10 506 506




საჯარო შესრულება
2 369 226

საჯარო გადაცემა
1 345 311

სულ 14 221 042 ლ

გამოყენების ტიპის მიხედვით განაწილებული ჰონორარები, სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან:

ტიპი	თანხა (ლ)
საჯარო შესრულება/გადაცემა	1 200 716
კერძო კოპირება	871 434
სულ	2 072 150



2025 წლის საანგარიშო პერიოდში ასოციაციამ უცხო ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციების სასარგებლოდ უზრუნველყო ჰონორარის განაწილება.

8.3 გადახდების შესრულების სიხშირე, უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით

გამოყენების ტიპი	უფლების კატეგორია	განაწილების სიხშირე	გადახდის სიხშირე
საჯარო შესრულება	საავტორო/მომიჯნავე	ყოველთვიურად	ყოველთვიურად, საანგარიშო თვის ბოლო რიცხვამდე
საჯარო გადაცემა	საავტორო/მომიჯნავე	ყოველთვიურად	ყოველთვიურად, საანგარიშო თვის ბოლო რიცხვამდე
კერძო კოპირება	-----	ყოველთვიურად	ყოველთვიურად
თეატრები	საავტორო	კვარტალურად	კვარტალურად


8.4 ინფორმაცია მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა უფლების მფლობელებზე, უფლების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა

2025 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უფლების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით ასოციაციის მიერ შეგროვებული იმ თანხის სრული ოდენობა, რომელიც მოცემულ საანგარიშო პერიოდში არ განაწილებულა უფლებამფლობელებზე, შეადგენს 5 282 824 ლარს.

2025 წლის ბოლოსათვის, უფლებამფლობელთა იდენტიფიცირების ან/და მიკვლევადობის შეუძლებლობის გამო, გასანაწილებელი ჰონორარის ნაშთი შეადგენს 8 203 920 ლარს. მ.შ. 2025 წელს შეგროვებული ჰონორარიდან 5 282 824 ლარს; 2024 წელს შეგროვებული ჰონორარიდან - 2 910 378 და 2023 წელს შეგროვებულიდან 10 710 ლარს.

მონაცემები ცხრილში დაყოფილია უფლების კატეგორიის და გამოყენების ტიპის მიხედვით (ლარი).

	2025 წელი			2024 წელი			2023 წელი
გამოყენების ტიპი	საავტორო უფლებები	მომიჯნავე უფლებები	ჯამი	საავტორო უფლებები	მომიჯნავე უფლებები	ჯამი	
საჯარო შესრულება/გადაცემა	1 579 507	405 963	1 985 470	1 890 032	1 020 346	2 910 378	10 710
კერძო კოპირება	-----	-----	3 297 354				
სულ			5 282 824			2 910 378	10 710



8.5 ინფორმაცია მთლიანი შეგროვებული თანხის შესახებ, რომელიც ჯერ არ განაწილებულა იდენტიფიცირებულ უფლების მფლობელებზე უფლების კატეგორიისა და გამოყენების ტიპის მიხედვით იმ ფინანსური წლის მითითებით, რომელშიც ეს თანხები შეგროვდა

2025 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ასოციაციის მიერ სრულად იქნა განაწილებული და გადახდილი ჰონორარი, ყველა იდენტიფიცირებული უფლებამფლობელის სასარგებლოდ.

8.6 ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განაწილებისა და გადახდების განხორციელებლობის შემთხვევაში – მისი დაგვიანების მიზეზები

2024-2025 წლებში ასოციაციამ უზრუნველყო ჰონორარების განაწილება და გადახდა გონივრულ და კანონით დადგენილ ვადებში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გადახდის დაგვიანების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

8.7 ინფორმაცია ჯამური გაუნაწილებელი თანხების შესახებ და ამ თანხების გამოყენების შემთხვევაში ახსნა-განმარტება, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული ეს თანხები

კანონის 66²-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ჰონორარი, რომელიც ვერ განაწილდა იმ ფინანსური წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, რომელშიც იგი შეგროვდა, ენიჭება გაუნაწილებელი ჰონორარის სტატუსი.

ვინაიდან ასოციაცია უფლებამოსილებას ახორციელებს აკრედიტაციის მიღებიდან, ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე, 2025 წლის მონაცემებით არ არსებობს/ვერ იარსებებს ჰონორარი, რომელსაც აქვს გაუნაწილებელი ჰონორარის სტატუსი.

8.8 ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ თანხების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში – სპეციალურ ანგარიშებზე არსებულ თანხებზე დარიცხული სარგებლის და ამ სარგებლის განაწილების შესახებ ინფორმაცია

ასოციაციას არ გააჩნია სადეპოზიტო ბარათები, ანაზრები ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება მოგების მისაღებად. შესაბამისად, არ არსებობს არც დარიცხული სარგებელი და არც მისი განაწილების საკითხი.

9 ინფორმაცია სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ

9.1 სხვა ანალოგიური ორგანიზაციებიდან მიღებული და მათთვის გადახდილი თანხები, უფლების კატეგორიის, გამოყენების ტიპისა და ორგანიზაციის მიხედვით

კოლექტიური მართვის ორგანიზაციების ჩამონათვალი უფლებების კატეგორიებისა და გადახდილი/მიღებული თანხების ოდენობების მიხედვით

2025 წლის განმავლობაში ასოციაციამ გააგრძელა აქტიური ნაბიჯების გადადგმა სხვა ანალოგიური ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანებებსა და ე.წ. „ქოლგა ორგანიზაციებში“ გაწევრიანების მიზნით. აღნიშნულ პროცესში განხორციელდა არაერთი სამუშაო ვიზიტი, გაიმართა შეხვედრები და გაგრძელდა მოლაპარაკებები, მათ შორის CISAC–სა და SCAPR–ში გაწევრიანების მიზნით და მიმართულებით. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები და გაგრძელდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციების ჩამონათვალი უფლებების კატეგორიებისა და მიღებული თანხების ოდენობების მიხედვით შემდეგია:

ორგანიზაცია	უფლების კატეგორია	აღწერა	თანხა (ლ)
Russian Authors' Society (RAO)	საავტორო უფლებები	ქართველი ავტორების ანაზღაურება მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა და საჯარო გადაცემისთვის	1 049 471

ორგანიზაცია	უფლების კატეგორია	აღწერა	თანხა (ლ)
Russian Union of Rightholders (RUR)	კერძო კოპირება	ქართველი უფლებამფლობელების ანაზღაურება ნაწარმოებებისა და ფონოგრამების პირადი რეპროდუცირებისთვის	1 155 589
Russian Organization for Intellectual Property (VOIS)	მომიჯნავე უფლებები	ანაზღაურება კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამების საჯარო შესრულებისა და გადაცემისთვის	542 771
სულ			2 747 831

უცხოური კოლექტიური მართვის ორგანიზაციების ჩამონათვალი უფლებების კატეგორიებისა და გადახდილი თანხების ოდენობების მიხედვით შემდეგია:

ორგანიზაცია	უფლების კატეგორია	აღწერა	თანხა (ლ)
Victoria Legalitatii (Moldova)	საავტორო უფლებები	ავტორების ანაზღაურება მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა და საჯარო გადაცემისთვის	5 736
Armauthor (Armenia)	საავტორო უფლებები	ავტორების ანაზღაურება მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა და საჯარო გადაცემისთვის	10 420
Media IP Rights (United Kingdom)	მომიჯნავე უფლებები	ანაზღაურება კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამების საჯარო შესრულებისა და გადაცემისთვის	6 374
სულ			22 530

9.2 სხვა ანალოგიური ორგანიზაციებისთვის შეგროვებული ჰონორარებიდან უფლების მართვის საფასური

2025 წლის მონაცემების თანახმად, ასოციაციის მიერ განხორციელდა ტრანზაქცია სხვა ანალოგიური ორგანიზაციების სასარგებლოდ. შესაბამისად, გამოქვითა უფლებების მართვის საფასური.

9.3 ინფორმაცია სხვა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და გადმორიცხული ჰონორარებიდან უფლებების მართვის საფასურის შესახებ

2025 წელს უცხო ქვეყნის ანალოგიური ორგანიზაციებიდან გადმორიცხული ჰონარარებიდან უფლებების მართვის საფასურის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 549 566 ლარი.

2025 წელს უცხო ქვეყნის ანალოგიური ორგანიზაციებში გადარიცხული ჰონარარებიდან უფლებების მართვის საფასურის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 5 633 ლარი.

10 ინფორმაცია სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო მომსახურებების მიზნებისთვის გამოქვითული თანხების გამოყენების შესახებ

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლის განმავლობაში, ასოციაციის მიერ არ განხორციელებულა თანხების გამოქვითვა სოციალური, კულტურული ან საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით.

2025 წლის მარტიდან ასოციაცია ახორციელებს შეგროვილი ჰონორარიდან მიზნობრივ დაქვითვებს მის მიერ შექმნილი ფონდის საქმიანობისათვის. საანგარიშო პერიოდში დაქვითული თანხების ოდენობა შეადგენდა 1 290 648 ლარს, რომლიდანაც 634 346 ლარი გადაეცა ფონდს დაგეგმილი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

გამჭვირვალობის წლიური ანგარიში გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 26 აგვისტოს.

გიორგი ნიკოლაიშვილი

გენერალური დირექტორი

ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების
კოლექტიურ საფუძველზე მმართველი
ორგანიზაცია - ინტელექტუალური
საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისათვის

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია - IPOA

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცების შესახებ..... 1

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 3

წმინდა აქტივებში ცვლილების ანგარიში..... 4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება..... 5

ფინანსური ანგარიშგებისგანმარტებითი შენიშვნები:

1. ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია და მისი საქმიანობა6
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე 14
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება 15
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 16
6. ფული და ფულის ეკვივალენტები 16
7. მიღებული სესხები 16
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17
9. შემოსავალი 17
10. სხვა საოპერაციო ხარჯები 17
11. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები 18
12. ფინანსური რისკების მართვა..... 18
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები..... 22
14. შემდგომი მოვლენები..... 23

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის (შემდგომში - „ასოციაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და წმინდა აქტივებში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოსარგებლემ გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ასოციაციის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ასოციაციის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვების პრინციპის საფუძველზე ასოციაციის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ასოციაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ასოციაციის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ასოციაციის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და „ფასს-ის“ მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
- ასოციაციის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ასოციაციის 2025 წლის გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის კომპონენტის სახით წარმოდგენილი 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2026 წლის 26 აგვისტოს.

გიორგი ნიკოლაიშვილი
გენერალური დირექტორი

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	84 759	24 526
აქტივების გამოყენების უფლება	6	860 979	18 446
სულ გრძელვადიანი აქტივები		945 738	42 971
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	30 688	48 195
მოთხოვნები გასანაწილებელ ჰონორარზე		6 041 194	3 644 942
წინასწარ გადახდილი გადასახადები		432 451	228 086
მარაგები		4 682	377
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	8 842 263	3 499 486
		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		15 351 278	7 421 086
სულ აქტივები		16 297 016	7 464 058
წმინდა აქტივები			
დაგროვილი დეფიციტი		(1 237 713)	(1 666 026)
სულ წმინდა აქტივები		(1 237 713)	(1 666 026)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	1 316 287	1 354 282
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	11	8 203 920	3 490 001
გადავადებული შემოსავალი სესხის დისკონტირებიდან		599 573	761 578
საიჯარო ვალდებულება		703 333	-
		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10 823 114	5 605 861
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		5 368	709
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	14 791	198 565
საგადასახადო ვალდებულებები		-	0
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	11	5 841 083	3 294 929
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12	850 373	30 019
		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6 711 615	3 524 222
სულ ვალდებულებები		17 534 729	9 130 083
სულ წმინდა აქტივები და ვალდებულებები		16 297 016	7 464 058

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
შემოსავალი	13	4 973 063	1 203 911
სხვა შემოსავლები		90	1 319
სულ მთლიანი შემოსავალი		4 973 153	1 205 230
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(43 887)	(26 920)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(3 470 535)	(415 285)
ცვეთის ხარჯი	14	(238 230)	(77 898)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(557 268)	(194 917)
სასესხო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი		(161 573)	(148 726)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი		(101 726)	(5 951)
საკუროს სხვაობის ხარჯი, წმინდა		(133 193)	(213 671)
შემოსულობა დისკონტირებული სესხის გადავადებული შემოსავლიდან		161 573	148 726
დეფიციტი გადასახადამდე		428 313	270 588
მოგების გადასახადის ხარჯი			
წლიური დეფიციტი		428 313	270 588
წლიური სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული დეფიციტი		428 313	270 588

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2024	(1 936 614)	(1 936 614)
სულ წლის სრული დეფიციტი	270 588	270 588
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	(1 666 026)	(1 666 026)
სულ წლის სრული დეფიციტი	428 313	428 313
ნაშთი 31 დეკემბერი 2025	(1 237 713)	(1 237 713)

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

	2025 წელი	2024 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შეგროვებული ფულადი სახსრები - შეგროვებული ჰონორარები	28 220 305	10 419 718
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	90	170
უფლების მფლობელებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(16 393 280)	(4 255 134)
მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(861 246)	(452 264)
დასაქმებულთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(3 474 401)	(411 254)
გადახდილი პროცენტები	(101 994)	(5 951)
დაკავშირებული მხარის დაფინანსება	(634 346)	
გადახდილი გადასახადები	(807 064)	(1 852 203)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	5 948 064	3 443 082
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(82 067)	(3 953)
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	489
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(82 067)	(3 464)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღებით შემოსული ფულადი სახსრები	-	5 500
სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	(200 000)	
საიჯარო ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები	(135 712)	(60 134)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(335 712)	(54 634)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	5 530 285	3 384 984
უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებზე	(187 509)	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	3 499 486	114 503
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	8 842 263	3 499 486

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია და მისი საქმიანობა

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია (შემდეგ - ასოციაცია) წარმოადგენს საქართველოში ავტორთა და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა მიერ დაფუძნებულ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ერთადერთ აკრედიტირებულ ორგანიზაციას. ასოციაცია დაფუძნებულია საქართველოში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში (საიდენტიფიკაციო ნომერი 404574475).

ასოციაცია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

ასოციაცია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი უფლებამფლობელების ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ასოციაცია უზრუნველყოფს ჰონორარის შეგროვებას, განაწილებასა და გადახდას ეფექტიანი მექანიზმებით (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით), რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. ასოციაციის იურიდიული მისამართია, ნათია ბაშალეიშვილის ქ. #21, თბილისი, 0108, საქართველო.

ასოციაციის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ასოციაციაში დასაქმებული იყო 77 და 29 თანამშრომელი, შესაბამისად.

2025 წლის განმავლობაში ასოციაციაში დასაქმებული იყო საშუალოდ 64 თანამშრომელი.

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძველზე. ასოციაციის ფინანსური ანგარიშგების პაკეტი და განმარტებითი შენიშვნები მოიცავს ასოციაციის 2025 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც, საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ასოციაციის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა ასოციაციის ოპერაციებზე.

წარსადგენი ვალუტა. ასოციაციის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს ასოციაცია ახორციელებს საქმიანობას („წარსადგენი ვალუტა“). ასოციაციის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ანგარიშგებაში რიცხვები დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ასოციაცია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ იგი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო უფლებები იწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და საწყისი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს და ფასდება ტრანზაქციის ფასით IFRS 15-ის შესაბამისად, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების დანახარჯების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ასოციაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და, ამავე დროს, ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. შესაბამისად, ეს ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ასოციაცია საკრედიტო რისკის შეფასებისა და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გაზომვისას განიხილავს ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ ამოღების შესაძლებლობაზე.

ასოციაცია ფლობს სავაჭრო მოთხოვნების სახით არსებულ ფინანსურ აქტივს და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომას. გაანგარიშებისას, ასოციაცია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებს და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რეზერვის მატრიცის გამოყენებით. ასოციაცია სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურებას კოლექტიურად აფასებს, რადგან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები, რომლებიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ასოციაციის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა გადასახდელებს.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, შესაბამის შემთხვევაში, კორექტირებულია გარიგების იმ დანახარჯებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

შემდგომში, ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შედის ფინანსურ ხარჯებში ან ფინანსურ შემოსავალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. ასოციაციის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ასოციაციის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ლარი/1 აშშ დოლარი	2,6951	2.8068
ლარი/1 ევრო	3,1737	2.9306

შემოსავლის აღიარება. ასოციაცია მოქმედებს როგორც აგენტი უფლების მფლობელებსა და მოსარგებლეებს შორის შუამავლის როლში. შესაბამისად, შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოადგენს უფლების მმართვეის საფასურს (არაუმეტეს შეგროვებული ჰონორარის 20%) უფლების მფლობელებისთვის შეგროვებული ჰონორარის თანხიდან. მართვის საფასურის აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც შესრულებულია ასოციაციის შესასრულებელი ვალდებულება (მაგალითად, ჰონორარის შეგროვება ან შესაბამისი მომსახურების გაწევა) და ასოციაციას აქვს უფლება აღნიშნულ მართვის საფასურზე.

მომხმარებელთან (უფლების მფლობელებთან) გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების მომენტია უფლების მფლობელების მიმართ არსებული ვალდებულებების დაკმაყოფილების მომენტი, რომელიც დასრულებულად ითვლება შეგროვებული თანხების განაწილების თარიღში.

ასოციაციის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შესრულება ხდება დროის გარკვეულ მომენტში (უმეტესად ყოველთვიურად). მომსახურებიდან შემოსავლის აღიარების მომენტზე განსჯის საფუძველზე ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომხმარებელი დაპირებულ მომსა-

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხურებაზე კონტროლს მოიპოვებს ჰონორარის განაწილების დასრულების მომენტში.

ვალდებულების შესრულება არ საჭიროებს მომხმარებლებისთვის ანგარიშის წარდგენას, რადგან საავტორო უფლების კოლექტიურად მართვის წესებიდან გამომდინარე ასოციაციის კუთვნილი შემოსავალი აღიარდება საანგარიშგებო თვეში განაწილებას დაქვემდებარებული თანხების განაწილების (შესასრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების) მომენტში, უფლების მფლობელებისთვის ასანაზღაურებელი თანხების დარიცხვის პარალელურად.

მოთხოვნები მოსარგებლეთა მიმართ. მოთხოვნები მოსარგებლეთა მიმართ წარმოადგენს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლების, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების (შემდგომ - უფლებების მფლობელები) სახელით შესაგროვებელ ჰონორარს. მოსარგებლეთა მიმართ მოთხოვნების აღიარება ხდება ასოციაციასა და მოსარგებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და აღირიცხება ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასით. ასოციაციას მიჩნია, რომ მოსარგებლეთა მიმართ მოთხოვნები არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და მისი აღრიცხვის წესს ვერ განსაზღვრავს ფასს 9 სტანდარტისა და ასევე სხვა ფასს სტანდარტების მოქმედების სფერო.

მოთხოვნები მოსარგებლეთა მიმართ არ წარმოშობს ასოციაციის საკრედიტო რისკს და მოთხოვნების გაუფასურებიდან მოსალოდნელი დანაკარგები ვერ იქნება ფინანსურ შედეგზე გავლენის განმაპირობებელი. ამ მოსაზრებით ასოციაცია მოსარგებლეთა მიმართ მოთხოვნებთან დაკავშირებით არ ქმნის მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვს.

მოსარგებლეთა მიმართ მოთხოვნების სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს სტანდარტებიდან ბუნებრივი გადახვევა ასოციაციის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

მოსარგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ან კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების საფუძველზე, ასოციაცია აღიარებს მოთხოვნებს მოსარგებლეთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნების ძირითადი ნაწილი უნდა გადაერიცხოს უფლებამფლობელებს, დებიტორული დავალიანება აღიარდება, რადგან ასოციაციას გააჩნია უფლების მფლობელებისგან მიჩიქებული უფლება შესაგროვებელი ჰონორარის თანხების ამოღებაზე.

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება ამოღების ან გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტში.

როდესაც წარმოიქმნება ვალდებულება უფლების მფლობელებისათვის ჰონორარის თანხის გადახდის შესახებ, ასოციაცია აღიარებს კრედიტორულ დავალიანებას ჰონორარის განაწილების საფუძველზე.. კრედიტორული დავალიანება გამოხატავს ასოციაციის ფიდუციურ ვალდებულებას შეგროვილი თანხების გადაცემაზე უფლებამფლობელების სასარგებლოდ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია ასოციაციის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. ასოციაციას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული ასოციაციას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

იჯარა. ხელშეკრულების დადებისას, ასოციაცია განსაზღვრავს, არის თუ არა ან შეიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ასოციაცია, როგორც მოიჯარე, ხელშეკრულების დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა იმ იჯარისთვის, რომლის ვადაც აღემატება 12 თვეს და რომლის საგანი არ წარმოადგენს დაბალფასიან აქტივს. მოკლევადიანი (12 თვემდე ვადის) და დაბალფასიანი აქტივების იჯარებთან დაკავშირებული საიჯარო გადასახდელები აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლება არ წარმოადგენს ძირითად საშუალებას (ბასს 16) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ცალკე მუხლად, ძირითადი საშუალებებისგან დამოუკიდებლად; შესაბამისად, ცალკეა წარმოდგენილი

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა აქტივის გამოყენების უფლების შესახებ (იხ. შენიშვნა 6), რომელიც განცალკევებულია ძირითადი საშუალებების შენიშვნისგან (იხ. შენიშვნა 5).

აქტივის გამოყენების უფლების პირველად აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასებას, დაწყების თარიღამდე ან მასზე გადახდილ საიჯარო გადასახდელებს (მიღებული საიჯარო წახალისების გამოკლებით) და ასოციაციის მიერ გაწეულ პირველად პირდაპირ დანახარჯებს. პირველადი აღიარების შემდეგ, აქტივის გამოყენების უფლება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით მიღებული თანხით და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში, ვინაიდან ხელშეკრულება არ ითვალისწინებს აქტივზე საკუთრების უფლების გადმოცემას იჯარის ვადის ბოლოს.

საიჯარო ვალდებულება დაწყების თარიღისთვის ფასდება ჯერ კიდევ გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ხოლო თუ ეს განაკვეთი ადვილად ვერ განისაზღვრება - ასოციაციის ზღვრული სასესხო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულებას შემდგომში ერიცხება პროცენტი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების ოდენობით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში. თუ საიჯარო გადასახდელები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, საიჯარო ვალდებულება, როგორც ფულადი მუხლი, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაითვლება ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით, ხოლო წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში. საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან ნაწილებად ბასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად: საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დასაფარი ნაწილი კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, ხოლო დარჩენილი ნაწილი - გრძელვადიან ვალდებულებად.

მარაგები. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საანგარიშგებო პერიოდში მოხმარებული მარაგის ღირებულება შეადგენს 44 709 ლარს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ასოციაცია მათგან მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადებს, დაუბრუნებად გადასახადებსა და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. პირველადი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია უკვე აღიარებულ ძირითად საშუალებებთან, ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას (კაპიტალიზდება) მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი აუმჯობესებენ აქტივის თავდაპირველ ნორმატიულ მაჩვენებლებს. მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდში.

ცვეთა და სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით, რათა აქტივის ღირებულება თანაბრად განაწილდეს მის სასარგებლო ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის (მზადყოფნის) მომენტიდან. აქტივების ჯგუფისთვის, რომელსაც ასოციაცია ფლობს, განსაზღვრულია სასარგებლო მომსახურების შემდეგი ვადა:

ოფისის აღჭურვილობა 3 – 5 წელი

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ავეჯი და სხვა ინვენტარი 3 – 5 წელი

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის მეთოდი და ნარჩენი ღირებულებები გადახედვას დაექვემდებარება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში გაკორექტირდება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან ან ლიკვიდაციიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადის ხარჯი. საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ასოციაცია არ წარმოადგენს მოგების გადასახადის სტანდარტულ გადამხდელს მის ძირითად (არასამეწარმეო) საქმიანობაზე. ასოციაციის მიერ მიღებული მიზნობრივი დაფინანსება არ იხვევება მოგების გადასახადით, თუ ის გამოიყენება ასოციაციის საწესდებო მიზნებისა და პროექტების განსახორციელებლად.

2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული „მოგების გადასახადის რეფორმის“ მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასოციაცია ახორციელებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ სპეციფიკურ ოპერაციებს. კერძოდ, ასოციაციისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს:

არაკომერციული საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები: ნებისმიერი ხარჯი, რომელიც არ არის დაკავშირებული ასოციაციის წესდებით განსაზღვრულ მიზნებთან ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ან არ არის დასაბუთებული პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციით;

უფასოდ საქონლის მიწოდება / მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა: თუ აღნიშნული ქმედება არ უკავშირდება ასოციაციის საწესდებო მიზნების (პროექტების) განხორციელებას;

ზღვრულ ოდენობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები: ხარჯები, რომლებიც აღემატება საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ლიმიტებს.

ასოციაცია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაწეული ოპერაციებიდან რომელიმე მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ დაბეგვრის ობიექტებს, და შესაბამის შემთხვევაში აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა დაბეგვრის ობიექტი. 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ასოციაციას არ წარმოქმნია მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და, შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს ასოციაციის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

ასოციაცია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. ასოციაცია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2025 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები: ცვლილებები:

4.1. IFRS 18 — „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტი ოფიციალურად ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. იგი მთლიანად ანაცვლებს ძველ სტანდარტს — IAS 1-ს.

- **რას გულისხმობს:** მოგება-ზარალის უწყისში შემოაქვს სამი ახალი განსაზღვრული კატეგორია: საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობა (მსგავსად ფულადი ნაკადებისა).
- **მიზანი:** კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარების გამარტივება და მენეჯმენტის მიერ თვითნებურად შემოღებული არასტანდარტული კოეფიციენტების (მაგ. კორექტირებული EBITDA) მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა.

4.2. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ცვლილებები IFRS 9-სა და IFRS 7-ში)

ეს შესწორებები პირდაპირ გავლენას ახდენს 2025 წლის ანგარიშგებებზე და ეხება თანამედროვე ფინანსურ ტენდენციებს:

- **ელექტრონული ფულადი გადარიცხვები:** დაზუსტდა წესები, თუ ზუსტად როდის უნდა მოხდეს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა (derecognition), როდესაც ანგარიშსწორება ხდება ელექტრონული სისტემებით (მაგ. როცა ფული გზავნიან).
- **ESG-სთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტები:** შემოვიდა ახალი მოთხოვნები ისეთი სესხებისა თუ ობლიგაციების შესაფასებლად, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მიზნულია კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი ან სოციალური (ESG) მიზნების მიღწევაზე.

4.3. ცვლილებები IAS 21-ში — „გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“

ეს ცვლილება პრაქტიკული ხდება იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ოპერირებენ არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

- **რას გულისხმობს:** სტანდარტი განსაზღვრავს, როგორ უნდა მოიქცეს კომპანია, როდესაც ერთი ვალუტის მეორეში გადაცვლა ოფიციალურად ან პრაქტიკულად შეუძლებელია (ანუ არ არსებობს თავისუფალი გაცვლითი კურსი).
- **გადაწყვეტა:** კომპანიას ევალება შეაფასოს ე.წ. „სავარაუდო სპოტ კურსი“ და დეტალურად განმარტოს შენიშვნებში, თუ რა რისკებს უქმნის ეს ფაქტი მის ფინანსურ მდგომარეობას.

4.4. მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების სქემები (Supply Chain Financing / Reverse Factoring)

2025 წლის მოდელებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამჭვირვალობის ახალ წესებს ე.წ. „უკუ ფაქტორინგის“ შესახებ.

- **რას გულისხმობს:** როდესაც ბანკი უხდის კომპანიის მომწოდებლებს უფრო ადრე, ხოლო კომპანია ბანკს უბრუნებს ამ თანხას მოგვიანებით. კომპანიებს ახლა მკაცრად მოეთხოვებათ აჩვენონ, ეს თანხები ჩვეულებრივი სავაჭრო ვალდებულებაა (Trade Payables) თუ საბანკო სესხი, რათა არ დაიმალოს რეალური საკრედიტო ტვირთი.

ასოციაციის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ასოციაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2023	33 681	57 624	91 304
შემოსვლა	3 953		3 953
გასვლა			-
31 დეკემბერი 2024	37 633	57 624	95 257
შემოსვლა	40 880	41 186	82 067
გასვლა			-
31 დეკემბერი 2025	78 513	98 810	177 323
ცვეთა და გაუფასურება			-
31 დეკემბერი 2023	(26 216)	(33 012)	(59 228)
პერიოდის ცვეთა	(3 412)	(8 092)	(11 504)
გასვლა			-
31 დეკემბერი 2024	(29 628)	(41 104)	(70 731)
პერიოდის ცვეთა	(8 100)	(13 733)	(21 833)
გასვლა			-
31 დეკემბერი 2025	(37 727)	(54 837)	(92 564)
წმინდა საბალანსო ღირებულება			-
31 დეკემბერი 2023	7 465	24 612	32 077
31 დეკემბერი 2024	8 006	16 520	24 526
31 დეკემბერი 2025	40 786	43 973	84 759

6. აქტივების გამოყენების უფლება

ასოციაციას აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება წარმოეშვა საოფისე ფართის იჯარისა და ჰიპერგრადის პროგრამული უზრუნველყოფის ხანგრძლივი გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით. აქტივების გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გახსნილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

	საოფისე ფართის იჯარა	ჰიპერგრადის გამოყენების უფლება	სულ
2024 წელი			
აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა	(61 783)	(4 611)	(66 394)
იჯარასთან დაკავშირებით გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა	62 069	-	62 069
აქტივების გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	18 446	18 446
2025 წელი			-
აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა	(211 786)	(4 611)	(216 397)
იჯარასთან დაკავშირებით გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა	216 437	26 959	243 396
აქტივების გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	847 145	13 834	860 979

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასოციაციას აქვს ორი მოქმედი აქტივის გამოყენების უფლება, ერთი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებით წარმოშობილ აქტივს ხოლო მეორე - Rozum Europe GmbH-ის პროგრამული ლიცენზიას, რომლის მიხედვით ლიცენზიის მთელ პერიოდზე, ერთჯერადი ფიქსირებული საზღაური 10 000 აშშ დოლარი გადახდილია 2025 წლის 29 დეკემბერს, რის გამოც ამ აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით საიჯარო ვალდებულებების ნაშთი არ არსებობს.

მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების არადისკონტირებული მთლიანი თანხა, რომელთა გადახდა მოსალოდნელია იჯარის მიხედვით, პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	31.12.2025	31.12.2024
ა) არა უგვიანეს ერთი თვისა	24 621	-
ბ) ერთი თვის შემდეგ და არა უგვიანეს სამი თვისა	49 242	-
გ) სამი თვიდან ერთ წლამდე ვადის	248 538	28 068
დ) ერთი წლიდან ხუთ წლამდე ვადის	861 726	-
სულ არადისკონტირებული საიჯარო გადასახდელები	1 184 126	28 068

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი მოიცავს შემდეგს:

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	25 274	43 177
მოთხოვნები ასოციაციის პერსონალის მიმართ	2 530	2 159
სხვა მოთხოვნები	2 884	2 859
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30 688	48 195
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	30 688	48 195

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი მოიცავს შემდეგს:

	31.12.2025	31.12.2024
ნაღდი ფული სალაროში	365	365
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	8 841 499	3 492 422
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	399	6 700
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	8 842 263	3 499 486

9. მიღებული სესხები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ნაშთი მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31.12.2025	31.12.2024
სესხი ფიზიკური პირისგან	ლარი	12,57%	24.02.2029	1 316 287	1 354 282

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სულ ნასესხები სახსრები	1 316 287	1 354 282
სესხების ვადიანობა:		
	31.12.2025	31.12.2024
ერთ თვემდე	-	-
ერთიდან სამ თვემდე	-	-
სამიდან თორმეტ თვემდე	-	-
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი	-	-
ერთიდან ხუთ წლამდე	1 316 287	1 354 282
ხუთ წელზე მეტი	-	-
სულ ნასესხები სახსრები	1 316 287	1 354 282

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	1 იანვარი 2025	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობი დან	პროცენტის ცვლილება	31 დეკემბერი 2025
აღებული სესხები	1 354 282	(199 568)	161 573	1 316 287
სესხის არადისკონტირებული ღირებულება	2 115 860	(200 000)		1 915 860

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2025 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი მოიცავს შემდეგს:

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო ვალდებულებები	14 051	197 825
გადასახდელი ჰონორარი	740	740
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14 791	198 565

ასოციაციის ყველა ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

11. ფინანსური ვალდებულება

წინამდებარე მუხლში ასახულია ასოციაციის მიერ მოსარგებლეებისგან შესაგროვებელი ჰონორარი და შეგროვებული არაიდენტიფიცირებულ უფლებამფლობელთათვის გასანაწილებელი ჰონორარის თანხები.

	31.12.2025	31.12.2024
შესაგროვებელი ჰონორარი	5 841 083	3 294 929
ვალდებულება არაიდენტიფიცირებულ საავტორო უფლების მფლობელთა წინაშე	8 203 920	3 490 001

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სულ ფინანსური ვალდებულება	14 045 003	6 784 930
----------------------------------	-------------------	------------------

*

12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31.12.2025	31.12.2024
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება		25 989
საპენსიო ვალდებულება	197	4 031
ვალდებულება დაკავშირებული მხარის წინაშე	656 302	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	850 373	30 019

13. მთლიანი შემოსავალი

მთლიანი შემოსავალი შედგება:

	2025	2024
მართვის საფასური	4 973 063	1 203 911
სხვა შემოსავლები	90	1 319
სულ შემოსავალი	4 973 153	1 205 230

14. ცვეთის ხარჯი

ცვეთის ხარჯი შემდეგი სტრუქტურითაა წარმოდგენილი

	2025	2024
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	21 833	11 504
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	216 397	66 394
სულ ცვეთის ხარჯი	238 230	77 898

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

	2025	2024
რეკლამის / სპონსორობის ხარჯები	123 693	28 475
საიჯარო ქირა	-	9 125
კომუნიკაციის ხარჯები	18 278	7 180
აუდიტისა და საგადასახადო კონსულტაციის ხარჯები	-	20 000
აღსრულების ეროვნული ბიუროს ხარჯი საქმის წარმოებისთვის	9 400	3 800
საკუთრიერო მომსახურების ხარჯი	880	100
FACEBOOK-ის მომსახურების ხარჯი	5 397	530
ქონების გადასახადის ხარჯი	546	277
მივლინების ხარჯი	37 531	
ბანკის საკომისიო	27 998	10 767
საკანცელარიო ხარჯი	5 728	6 899
კომპიუტერული აქსესუარებისა და მომსახურების ხარჯი	-	657
თარგმნის ხარჯი	3 680	2 501

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

წარმომადგენლობითი ხარჯი	500	
საფოსტო მომსახურების ხარჯი	22 529	19 241
სხვადასხვა ხარჯი	8 611	542
იურიდიული და ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	99 924	27 851
ACRCLOUD მონიტორინგი	65 415	27 787
მუსიკალური სადამოს გაფორმების ორგანიზების ხარჯი	-	15 712
ექსპერტიზის ხარჯი	-	13 475
სხვა მომსახურების ხარჯები	127 158	
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	557 268	194 917

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ასოციაციის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში ასოციაციის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს ასოციაციის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ასოციაციის საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ასოციაციას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ასოციაცია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ამავე პერიოდში, მსოფლიოში არსებული გლობალური და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებობდა მაღალი ფინანსური რისკები, კერძოდ: გეოპოლიტიკური გარემო; ფასები, მიწოდების (მაგ. ტრანზაქცია) შეფერხება და საინვესტიციო კლიმატი; ინფლაცია; მაღალი ოპერაციული ხარჯები; მომატებული სარეგულაციო მოთხოვნები; კიბერუსაფრთხოება და სხვადასხვა ტექნოლოგიური საფრთხეები; ვალუტის კურსის ცვლილებები და საერთაშორისო თანამშრომლობის რისკები. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი ასოციაციის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ასოციაციის საქმიანობის მდგრადობის და ხელშეწყობის მიზნით, იღებს ყველა საჭირო ზომას.

16. ფინანსური რისკების მართვა

ასოციაციაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. ასოციაციაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ასოციაციის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

ასოციაციაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 238 927	777 183
ფული და ფულის ეკვივალენტი	8 842 263	3 499 486
სულ საკრედიტო რისკი	10 081 190	4 276 669

საკრედიტო რისკის დასახასიათებლად სავაჭრო მოთხოვნებში შეტანილია გასანაწილებელ ჰონორარზე მოთხოვნების 20% (რომელიც შეგროვებული ჰონორარიდან მართვის საფასურის სახით იქნება გამოქვითული), იმ მოტივით, რომ ასოციაცია გასანაწილებელი ჰონორარის მოთხოვნებიდან მოელის მაქსიმუმ 20%, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს საბაზრო რისკის მოლოდინი, რადგან არ ფლობს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რაზეც ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს ეფექტი ექნებოდა.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ასოციაცია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ასოციაცია არ იყენებს.

ასოციაციას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არსებითი ფულადი აქტივები და ვალდებულებები არ გააჩნია. შესაბამისად სავალუტო რისკის ფაქტორი არ არსებობს.

ფონდების რისკი. ასოციაცია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასოციაციამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ასევე სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ასოციაცია ფონდების მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი ფონდი გამოითვლება როგორც „წმინდა აქტივები“, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	31.12.2025	31.12.2024
სულ მიღებული სესხები	1 316 287	1 354 282
ფული და ფულის ეკვივალენტები	(8 842 263)	(3 499 486)
წმინდა სესხები	(7 525 975)	(2 145 204)
სულ წმინდა აქტივები	1 310 074	(1 659 352)
წმინდა სესხების თანაფარდობა წმინდა აქტივებთან	(5,74)	1,29

საპროცენტო რისკი. ასოციაცია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ასოციაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. ასოციაცია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ასოციაციის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ასოციაციის საფინანსო განყოფილების მიერ. ასოციაციის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. ასოციაციას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, გააუმჯობესოს ასოციაციის უნარი, დაფაროს სხვა არაურთიერთამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, ლიკვიდობის გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

შემდეგ ცხრილებში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია გასანაწილებელ ჰონორარზე მოთხოვნების ვალდებულებების ჩათვლით:

2025 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	8 842 263	-	-	8 842 263
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30 688	-	-	30 688
მოთხოვნები მოსარგებლეთა მიმართ	6 041 194			6 041 194
სულ სამომავლო მისაღები თანხები ძირითადი და პროცენტის თანხების ჩათვლით	14 914 145	-	-	14 914 145

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14 791	-	-	14 791
ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 11)	5 841 077	-	-	5 841 077
საიჯარო ვალდებულება (მიმდინარე ნაწილი)	-	193 874	-	193 874
მიღებული სესხები და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	-	-	2 019 620	2 019 620
სულ სამომავლო გადახდები ძირითადი და პროცენტის თანხების ჩათვლით	5 855 868	193 874	2 019 620	8 069 362
ლიკვიდობის დეფიციტი	9 058 277	(193 874)	(2 019 620)	6 844 783
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	9 058 277	8 864 403	6 844 783	

2024 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3 499 486	-	-	3 499 486
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	48 195			48 195
მოთხოვნები მოსარგებლეთა მიმართ	3 644 942	-	-	3 644 942
სულ სამომავლო მისაღები თანხები, ძირითადი და პროცენტის თანხების ჩათვლით	7 192 623	-	-	7 192 623
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	198 565	-	-	198 565
ფინანსური ვალდებულებები	3 294 929	-	-	3 294 929
საიჯარო ვალდებულება (მიმდინარე ნაწილი)	-	25 989	-	25 989
მიღებული სესხები	-	-	2 115 860	2 115 860
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი და პროცენტის თანხების ჩათვლით	3 493 494	25 989	2 115 860	5 635 343
ლიკვიდობის დეფიციტი	3 699 129	(25 989)	(2 115 860)	1 557 280
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	3 699 129	3 673 140	1 557 280	

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ასოციაციას ფინანსური ანგარიშგებით მოცულ პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან არსებული

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ოპერაციები და ნაშთები შემდეგნაირად ხასიათდება:

დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი. მე-9 შენიშვნაში აღწერილი გრძელვადიანი სესხი მიღებულია ფიზიკური პირისგან, რომელიც სესხის უდიდესი ნაწილის გაცემის პერიოდში (2022-2023 წ.) იყო უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი, ხოლო 2025 წელს ითვლებოდა მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირად. სესხთან დაკავშირებული ოპერაციების და ნაშთების არადისკონტირებული თანხები წლების მიხედვით შემდეგია:

	2025 წ.	2024 წ.
სესხის მიღება		5 500
სესხის დაფარვა	200 000	
ნაშთი წლის ბოლოს	1 915 860	2 115 860

დაკავშირებული მხარის დაფინანსება. 2025 წლის 12 მარტს გამართული ასოციაციის საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ასოციაციამ დააფუძნა სპეციალური მიზნობრიობის მქონე ფონდი სახელმძღვანელო ა(ა)იპ მესმა-კულტურის განვითარების ფონდი (რეგისტრაციის თარიღი 19.05.2025. შემდგომში - ფონდი). ასოციაციასა და ფონდს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ასოციაცია პერიოდულად აფინანსებს ფონდის საქმიანობას. ფონდის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებიდან გამომდინარე ასოციაციას მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია ფონდზე.

ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ასოციაცია ფონდის საქმიანობის მიზნებისთვის შეგროვებული ყველა სახის ჰონორარიდან ახორციელებს გამოქვითვას 5%-ის ოდენობით.

ფონდის საჭიროებებისა და მის მიერ დაგეგმილი პროექტების გათვალისწინებით ფონდისთვის თანხის გადარიცხვის პერიოდულობის და თითოეული გადარიცხვის კონკრეტული ოდენობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ასოციაციის მენეჯმენტს. შესაბამისად, ფონდის საქმიანობის მიზნებისთვის გამოქვითული თანხები, შესაძლოა მათი დაქვითვისთანავე არ იქნეს გადარიცხული ფონდში. 2025 წლის ასოციაციასა და ფონდს შორის ურთიერთობის ფინანსური სურათი შემდეგია:

2025 წელი	თანხა
შეგროვებული ჰონორარიდან ფონდის სასარგებლოდ გამოქვითული თანხა	1 290 648
ფონდის დასაფინანსებლად გადახდილი თანხა	634 346
ვალდებულების ნაშთი 31.12.2025	656 302

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება. ასოციაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებად განიხილავს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირებს. მათი ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია მოტანილია ქვემოთ:

	2025 წ.	2024 წ.
დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	299 523	136 618
დასაქმებულთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები	5 475	2 326
ჯამი	304 998	138 944

18. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

გიორგი ნიკოლაიშვილი
გენერალური დირექტორი